ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოცულობა კრედიტებში - 60 კრედიტი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელ პირს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

სწავლების ენა - ქართული;

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

❖ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის სწავლება B1+ დონეზე, ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემის მიხედვით განსაზღვრული კომპეტენციების შესაბამისად:

ლინგვისტური კომპეტენცია- ქართული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის შეძენა, ლოგიკურად და გრამატიკულად გააზრებული გამოთქმებისა და ფრაზების ჩამოყალიბება.

სოციოლინგვისტური კომპეტენცია - სიტუაციური კომუნიკაციების შესაბამისად ვერბალური თუ წერითი კომუნიკაციების ენობრივი კომპეტენციის საფუძვლების დაუფლება.

დისკურსული კომპეტენცია - ტექსტის სტრუქტურულ მახასიათებლებში გარკვევა, მისი კონსტრუირებისა და ინტერპრეტირებისათვის სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

სოციოკულტურული კომპეტენცია - ქართული ენობრივ-კულტურული სპეციფიკის გაცნობიერება, მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში თავისუფლად ორიენტირება.

სოციალური კომპეტენცია -მოცემულ სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატური თვითგამოხატვა.

სტრატეგიული კომპეტენცია -საკომუნიკაციო ხარვეზის ეფექტურად გადაჭრა ვერბალური და არავერბალური სტრატეგიების გამოყენებით.

❖ არაქართულენოვანი სტუდენტების უნივერსიტეტის სასწავლო გარემოსთან ინტეგრირება;

❖ ქართული ენის ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად გაღრმავება და გამდიდრება (ე.წ. „სწავლა სწავლის“ კომპონენტი);

❖ შეძენილი ცოდნისა და უნარების დახმარებით უნივერისიტეტის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება.

სწავლის შედეგი - კურსდამთავრებულს ეცოდინება: ქართული ენა B1+ დონეზე, ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემის მიხედვით განსაზღვრული

კომპეტენციების შესაბამისად. ქართულად გამართულად წერა და მეტყველება. ქართული ენის სტრუქტურის ლექსიკოლოგიისა და სიტყვათწარმოქმნის ზოგადი მახასიათებლები. ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის სპეციფიკური თავისებურებები. ფუნქციური წერის, ზეპირმეტყველებისა და კითხვის სტრატეგიები. **კურსდამთავრებულს შეეძლება:** ქართული ენის პრაქტიკული გამოყენება, სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება, თარგმნა, ანალიზი, ინტერპრეტაცია და რეპროდუქცია, სხვადასხვა ტიპისა და მიზანდასახულობის ზეპირსიტყვიერი თუ წერილობითი ტექსტების ლოგიკურად ჩამოყალიბება. გრამატიკული ნორმების შესატყვისი კონსტრუქციების აგება. ქართულ ენაზე აკადემიური დისციპლინების სწავლა. სხვადასხვა ტიპის ტექსტების ანალიზი, კრიტიკული შეფასება, ფაქტების, მოვლენების, მოსაზრებების შედარება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენა, არგუმენტირებული ზეპირი და წერილობითი დასკვნების ჩამოყალიბება. ქართულენოვან გარემოში ორიენტაცია და ყოველდღიურ ცხოვრებაში ეფექტური, წარმატებული კომუნიკაცია. ქართულ ენაში მიღებული საბაზისო ცოდნის თანმიმდევრული შემოწმება, თვითშეფასება, სათანადო რესურსებისა თუ აქტივობების სასწავლო მიზნებისათვის მობილიზება და ინტერესებიდან გამომდინარე ცოდნის არეალის გაფართოება. ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ქართული ეროვნული ფასეულობების პატივისცემა.ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკური პრინციპების დაცვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - შუალედური შეფასებები, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას**:

ა.ა) (**A) ფრიადი** –მაქსიმალური შეფასების 91% –100%;
ა.ბ) (**B) ძალიან კარგი –** მაქსიმალური შეფასების 81-90 %; ა.გ) **(C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
ა.დ) (**D) დამაკმაყოფილებელი –** მაქსიმალური შეფასების 61-70%; ა.ე) (**E) საკმარისი –** მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (**FX) ვერ ჩააბარა–** მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (**F) ჩაიჭრა –** მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.